

კერძო სააღსრულებო ინსტიტუტის როლი ქართულ სააღსრულებო
სისტემაში, არსებული ხარვეზები და გამოწვევები

ნათია ბლიაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ელისაბედაშვილი, სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ნათია ბლიაძე

01.07.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს - სააღსრულებო წარმოებას, უფრო კონკრეტულად კი - კერძო სააღსრულებო ინსტიტუტს.

ვინაიდან აღსრულება მოიაზრება, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების თანმდევი და საბოლოო შედეგი, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში არსებობდეს ინსტიტუტი, რომელიც შეძლებს აღასრულოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ეფექტურად და დროულად, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადაში იქნეს აღდგენილი დარღვეული მხარის ინტერესი.

ნაშრომი ღირებულია იქიდან გამომდინარე, რომ იგი განიხილავს კერძო სააღსრულებო სისტემის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს, მსჯელობს ხარვეზებსა და პრობლემებზე და გვთავაზობს ამ ხარვეზების გამოსწორების გზებს, თუ როგორ შეიძლება გახდეს კერძო სააღსრულებო ინსტიტუტი უფრო ეფექტური.

კვლევის შედეგებით დგინდება, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო და კერძო აღმასრულებელი, მიუხედავად იმისა, რომ არიან კონკურენტი ინსტიტუტები, მაინც არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან; აღსრულების ეროვნულ ბიუროს მინიჭებული აქვს მეტი ბერკეტი არა მხოლოდ თავისი უფლებამოსილების გამოყენების დროს, ასევე მას ეძლევა შესაძლებლობა, რიგ შემთხვევაში აკონტროლოს კერძო აღმასრულებელი, შესაბამისად, კანონმდებლობაში გასახორციელებელია რიგი ცვლილებები, რათა კერძო აღმასრულებელმა სრულად შეძლოს საკუთარი უფლებების რეალიზაცია და სააღსრულებო წარმოება გახადოს ბევრად უფრო ეფექტური და დამოუკიდებელი.

საძიებო სიტყვები: მართლმსაჯულება, კერძო აღმასრულებელი, ეფექტური აღსრულება.

Abstract

This work deals with one of the most important parts of justice - the enforcement proceedings, more specifically, the private enforcement institution.

As the enforcement is considered as the following and final result of the execution of justice, it is important that the state has an institution capable of enforcing appropriate decisions efficiently and in a timely manner in order to restore the interest of the affected party in as short time as possible.

The work is valuable because it discusses the advantages and shortcomings of the private enforcement system, discusses the shortcomings and problems and offers the ways to correct these gaps, how the private enforcement institute can be more efficient.

According to the survey results, the National Bureau of Enforcement and the private bailiff, although competing institutions, are in unequal conditions; The National Bureau of Enforcement has been given more leverage not only in realizing its power, but also in some cases to control the private executive, in accordance with a number of amendments to the legislation in order to enable the private bailiff to fully implement its rights and make enforcement proceedings much more effective and independently.

Key words: Justice, Private Enforcer, Effective Enforment.